პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 მარტი კვირა 1974 ფასი 2. კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 76 (15897)

მომავალი არჩევნების მთავარი თავისებურება ის არის, რომ ეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნებია საკავშირო ისტორიული XXIV ყრილობის შემდეგ, რომელმაც დასახა ჩვენი საზოგადოების ეკონომიური, სოციალური და სულიერი განვითარების დიადი პროგრამა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 36-ე და 37-ე მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებებისა და კოლექტივების შემდეგ წარმომადგენელთა შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პეტრე ნიკოლოზის-ძე **ფედოსეევი** — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებისა და მეცნიერი მუშაკებისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვალენტინა ვლადიმერის ასული **ნიკოლაევა-ტერეშკოვა** — საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი ივანე ვასილის-ძე **კაპიტონოვი** — კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

ალექსანდრე ნიკიფორეს-ძე **აქსიონოვი** — ბელორუსიის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ნაკაიბეკ **ალიმბეკოვი** — „ყირგიზატომანქანის" ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და მოსამსახურეებისაგან — ყირგიზეთის სსრ ქალაქი ფრუნზე.

ბორის ივანეს-ძე **არისტოვი** — ლენინგრადის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ივანე ივანეს-ძე **არტომოლევსკი** — სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნისაგან".

ვლადიმერ ალექსის-ძე **ასათიანი** — თბილისის დინამიტროეის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და მოსამსახურეებისაგან, საქართველოს სსრ.

თამარ ზადოს ასული **არუთინიანი** — სომხეთის სსრ არტაშატის რაიონის სოფელ კახწარაშენის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

მუიასარ **ბარნოევა** — უზბეკეთის სსრ ბუხარის ოლქის რომიტანის რაიონის ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ვიოლა ოიჰანესის ასული **ბეტკერი** — ესტონეთის სსრ პაიდის რაიონის კოლმეურნეობა „კაარდივიაელანეს" კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ანატოლი ტიმოთეს-ძე **ბოკარიოვი** — ნიჟნი ტაგილის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან, სვერდლოვსკის ოლქი.

ვასილ კონსტანტინეს-ძე **ვიშკუ** — მოლდავეთის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

ლეონიდ ივანეს-ძე **გრიკოვი** — მოსკოვის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ზულიეხა ისმაილ ყზი **გუსეინოვა** — აზერბაიჯანის პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსაგან.

ალექსი ალექსის-ძე **ეპიშევი** — სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტისაგან.

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **იანკაუსკასი** — ლიტვის სამომხმარებლო საზოგადოებათა რესპუბლიკური კავშირის გამგეობისაგან.

ველტა მარტინის ასული **ლინე** — ლატვიის სსრ ა. ოპერის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შემოქმედებითი მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან.

ივანე ალექსანდრეს-ძე **ლუტაკი** — უკრაინის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

მარიამ მოხტადინის ასული **მუხამედყულოვა** — ტაჯიკეთის აბუალი იბნსინას სახელობის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა, მასწავლებელთა და მოსამსახურეთა კოლექტივისაგან.

ვასილ ილიას-ძე **პროხოროვი** — საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოსაგან.

ნაზარბეკ **ხანდიბეკოვი** — ყაზახეთის სსრ ალმა-ათის ოლქის ურიცკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ტაგილსკი" კომსომოლეცის" მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ბოსტან აზანის ასული **ტამოვა** — თურქმენეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა და მეცნიერ თანამშრომელთაგან.

ევგენი მიხეილის-ძე **ტიაჟელნიკოვი** — სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

ნაზია ვასილის-ძე **შაქიროვი** — უფის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან, ბაშკირეთის ასსრ.

ანატოლი ვასილის-ძე **შატოხინი** — კრასნოარმეიესკის ქვანახშირის კომბინატის შახტ „როდინსკაიას" მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან, უკრაინის სსრ დონეცკის ოლქი.

ალექსანდრე ბორისის-ძე **ჩაკოვსკი** — სსრ კავშირის მწერალთა კავშირისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1974 წლის 29 მარტი.



„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

ქ. ნაკაოვი — „მეოთხე, განმსაზღვრელი წლის რიტმი".

(თბილისის სახელმწიფო ხარაიონო ელექტროსადგურის მე-9 ბლოკი).

ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს-ტყვეობრივი ეკონომიკური ეფექტი!

მისაბაძი თაოსნობა

სოციალისტური შრომის გმირის ი. ხაზარაძის ახალი ვალდებულებები

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგამომგონებლო საქმის შემდგომ განვითარებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მისი როლის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომართვის პასუხად შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის № 1 ამკრებ-მექანიკური საამქროს გამმართველმა, სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა რაციონალიზატორმა იოსებ ხაზარაძემ. იგი მიმართავს რესპუბლიკის რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. წარმოების ნოვატორებს ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოგონებათა შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

პირადად მან იკისრა შემდეგი ვალდებულებანი: **ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს შეამნას და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გბჭოგონიებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტში განაცხადი გააკეთოს ერთ გამოგონებაზე და შემდეგ მიაღწიოს წარმოებაში მის დანერგვას. შეიმუშაოს 20 რაციონალიზატორული წინადადება, აპვდან 10 მიიდინაროდ წელსვე დანერგოს წარმოებაში და საწარმოს მისცეს 10 ათასი მანეთის ეკონომია. დაგოგოს სულ ცოტა 2500 მანეთის ელექტროენერგია, შეაუმუშაოს 200 კილოგრამ ფერადი და საფასავი მასალა. დაეხმაროს 50 რაციონალიზატორს წინადადებათა გაფორმებასა და ესკიზების შედგენაში. რაციონალიზატორულ საქმიანობაში ჩაებას 15 ახალგაზრდა მუშა.**

ი. ხაზარაძის ამ პატრიოტულ ინიციატივას მხარი დაუჭირეს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა იმ კომპლექსური ბრიგადის წევრებმა, რომელსაც ინიციატორი ხელმძღვანელობს, და გადაწყვიტეს, ერთიანი ბრიგადული ძალით შექმნან გამოგონებანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტში წარადგინონ ახალ გამოგონებათა იმდენი განაცხადები, რომ ბრიგადის ყოველ წევრზე მოდიოდეს ერთი განაცხადი მაინც.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ქართველ ენაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა „პარტიისა და ხალხის დიადი გმირობა", რომელიც 1974 წლის 15 მარტს წარმოთქვა ალმა-ათაში, უამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. (საქინფორმი).

საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა ხუთწლედის მეოთხე. განმსაზღვრელი წლის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის, შესაბამოდ გაზალეს სოციალისტური შეჯიბრება და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე, 29 მარტს შეასრულეს.

დამკვრელური შრომა ყველგან ფრთებს ესხა. იგი მიმართულია შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, მისი ყველა თვისებრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებისა და რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისაკენ.

ახლა რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები მეორე კვარტალის ანგარიშში მუშაობენ.

იმუშავებენ დაზოგილი მასალებით

ჰიათურა. (საკ. კორ.). ქართული მარგანეცის ქალაქის მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა თაოსნობას და გააჩაღეს მზადება კომუნისტური შაბათობისათვის, რომელიც 20 აპრილს ეწყობა.

ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროში ლენინურ შაბათობაზე გამოვა 1.178 კაცი. აქედან 795 მაღაროელი პროდუქციის შექმნაზე დაზოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით იმუშავებს, ხოლო 383 კაცი შესრულებს მაღაროს კეთილმოწყობის სამუშაოებს. ისინი დარგავენ 10 ათას ძირ ნერგს, შეაგროვებენ შვიდ ტონა ჯართს, დაასუფთავებენ 1.700 კვადრატულ მეტრ ტერიტორიას.

ლენინელები წინასწარ ვარაუდით ამ დღეს დაამზადებენ 21 ათასი მანეთის პროდუქციას და ხუთწლედის ფონდში შეიტანენ 4.400 მანეთს.

დიდი მზადებაა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროშიც. აქაური მშრომელები შაბათობაზე გამომუშავებულ 2 ათას მანეთს შეიტანენ ხუთწლედის ფონდში. მაღაროელები კეთილმოწყობენ და გაამწვანებენ ქუჩებს, შეაგროვებენ 5 ტონა ჯართს, დაეხმარებიან საშეფო კოლმეურნეობას საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებაში.

ლენინური შაბათობისათვის ემზადებიან სტალინის, კალინინის, დიმიტროვის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროების მშრომელები, მშენებლები, რკინიგზელები, საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები. ისინი დაზოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით იმუშავებენ.

გაზაფხული ვეიხმოგს

ტრაქტორები მინდვრად გავიდნენ

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადებში ჩატარების მიზნით თერჯოლელმა მხვნელ-მთესველებმა ფაფთოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება. მექანიზატორებმა ტრაქტორების რემონტის დავალება ვადაზე თვენახევრით ადრე გაანაღეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ კვახჭირის, ფოწის, თერჯოლის, საზანოს, სიმონეთისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობების მექანიზატორები. ახლა ახალშეკეთებული ტრაქტორებით სიმინდისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების დასათესად ხნავენ ნიადაგს.

რაიონში სიმინდის დასათესად საჭიროა 1.096 ცენტნერი კონდიციური თესლი, მზად აქვთ გეგმაზე მეტი — 1.840 ცენტნერი ხარისხოვანი თესლი.

ვ. კუტალაძე.

კარგი ინიციატივა

ცხაკაია. (საკ. კორ.). მეაბრეშუმეობის, დარგში მოსუფთავებამა იციან, რომ რაიონში მუდამ დიდი ყურადღება ექცეოდა ფუთის პლანტაციების გაშენების საქმეს. ზოგიერთ კოლმეურნეობაში კი გამოცდილების გაზიარების მიზნით მოლდაეთიდანაც კი დადიოდნენ მეაბრეშუმეები. შარშან მიმე დაავადებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა აბრეშუმის ჭიის საკვებ ბაზას.

ამჟამად ხორციელდება ღონისძიებანი კარგი ტრადიციის აღდგენისათვის. **რაიონის ახალგაზრდებმა კომკავშირის რაიონული კომიტეტის ბიუროს მოწოდებით ვალდებულება იკისრეს დაჩქარებით აღადგინონ თუთის პლანტაციები. ტახურის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდები 1.000 ძირ ავადმყოფობაგამძლე თუთას დარგავენ.**

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადება

ვაშინგტონი. 30 მარტი. (საკ. დესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯ. ვეხტმა განაცხადა, რომ სახელმწიფო მდივანი ჰ. **კისინჯერი** შეხდა შეერთებული შტატების პრეზიდენტს **რ. ნიქსონს** და გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან **ლ. ი. ბრეჟნევთან** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან **ა. ა. გრომიკოსთან** თავიანი საუბრების შედეგები.

ჯ. ვეხტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვში გამართული საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება „გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯი" იყო ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების გზაზე. მოლაპარაკების დროს, თქვა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ძმარიებმა მიაღწიეს „არსებითს ურთიერთგაგებას" მთელ რიგ განხილულ საკითხებში.

ჯ. ვეხტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ შეხვედრა უმაღლეს დონეზე დამოკიდებული არ უნდა იყოს ორმხრივი ურთიერთობის ერთ რომელიმე დარგში მიღწეულ პროგრესზე და ხაზი გაუსვა, რომ „საჭიროა მსოფლიოს ორი უძლიერესი ქვეყნის ლიდერები ერთმანეთს ხვდებოდნენ, რათა მიაღწიონ ურთიერთგაგებას" საერთაშორისო პრობლემებში.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

კუბელ მეგობართა პატივსაცემად

29 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კრებაზე სადილი გამართა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილისა და კუბის რესპუბლიკის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის რაულ კასტროსა და მისი მეუღლის, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, კუბელ ქალთა ფედერაციის თავმჯდომარის ვილმა ესპინის პატივსაცემად, რომლებიც არაოფიციალური ვიზიტით ყრნან საბჭოთა კავშირში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვეითი.

სადილის დროს, რომელშაც გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა მ. ა. სუსლოვმა და რ. კასტრომ წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები. რომლებშიც, გამოთქვეს რწმენა, რომ კიდევ უფრო გაფართოვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კუბის კომუნისტური პარტიის, ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს კუბაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს და მის მოლაპარაკებას კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან. კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრთან ამხ. ფ. კასტროსთან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს V სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეთოთხმეტე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეხუთე სესია.

სესიამ მოისმინა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ანგარიში 1973 წლის გაწეული მუშაობის შესახებ. რომელიც გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა ბ. ლობჟანიძემ.

მოხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ საქალაქო მეურნეობის ძირითად დარგებში 1973 წლის წინა წელთან შედარებით მიღწეულია ზრდის საკმაოდ სწრაფი ტემპი. მაგრამ, გარკვეული წარმატების მიუხედავად, აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობაში არის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანიც. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ შესრულდა საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა, შარშან დიდი ჩამორჩენა იყო კაპიტალური მშენებლობის საერთო გეგმის შესრულებაში. კაპიტალურ მშენებლობაში ჩამორჩენა ძირითადად ახასიათებს მთავარმშენებელ, რომელმაც ვერ აითვისა გამოყოფილი სახსრები.

დამაკმაყოფილებლად არ მუშაობდნენ არც ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოები, რომლებმაც საქონელბრუნვის ბიუმის შესრულებას დააკლეს 14,6 მილიონი მანეთი.

საწარმოო გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას აქვეს ადგილი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხვა სამსახურებსაც.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება „ქალაქ თბილისის საბინაო ფონდის დაცვისა და სათანადო მოვლა-შენახვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ".

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი არქიტექტურულ-საგეგმარო სამმართველოს უფროსად დამტკიცებულია თ. თევზაძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსად — გ. ჩიქვინიძე. (საქინფორმი).

ᲮᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ

თავდადებული შრომისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები გადასცეს ბუნებრივი მეწველობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დიდ ჯგუფს, რომლებსაც ეს ჯილდოები მიენიჭათ წარმატებებისათვის 1973 წლის გეგმისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და დროულად შესრულებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ** წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ** დაჯილდოებულთ გადასცა ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენები, მედლები „შრომაში მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის".

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს თბილისის ბრიგადის საწარმოო გაერთიანების ოსტატის თანაშემწემ **ვ. გეგეშიძემ**, თბილისის კამეოლმაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" მკერავმა **ნ. რიბოლოვამ**, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის" მკერავმა **ნ. დუბკოვამ**, თბილისის სართავსტრიკოტაჟო კომბინატის მთავარმა ინჟინერმა **ო. ბეჟუაშვილმა**, თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერავლო ფაბრიკის მკერავმა **მ. ბაკრაძემ**, აგრეთვე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა **გ. გამცემლიძემ**, რომლებმაც დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას, მათი შრომის მაღალი შეფასებისთვის.

ვ. ძოწენიძემ გულთბილად მიესალმა დაჯილდოებულთ, აღნიშნა, რომ ვეტერანებთან ერთად ჯილდოები გადაეცა წარმოების ახალგაზრდა მოწინავეებსა და სპეციალისტებს, რომლებიც წარმატებით აკრძალებენ უფროსი თაობის სახელოვან შრომითა ტრადიციებს. დაჯილდოებულთ მან ისურვა ახალი წარმატებანი შრომასა და პირად ცხოვრებაში. (საქინფორმი).

ᲐᲮᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘ

ᲐᲮᲚᲘ ეწოდება წიგნ-ალბომს, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა. მასში მოთავსებული დოკუმენტური ფოტოსურათები, რუკა-სქემები, ძმაბერული ნაწარმოებების რეპროდუქციები და მოკლე განმარტებითი ტექსტი ასახავენ ჩვენს ქვეყანასა და საზღვარგარეთ მშრომელთა ღიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილებს.

ალბომის ყდაზე ალბეჭდილია ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც მოსკოვის კრემლის ტერიტორიაზეა აღმართული.

წიგნს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „წმინდაა ყველაფერი, რაც დაკავშირებული ადამ ლენინის ცხოვრებასთან, საქმეებთან და სახელთან".

გამოცემა მკითხველთა ფართო წრისათვისაა განკუთვნილი. (საკ. დესი).

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ

ᲕᲘᲢᲔᲑᲡᲙᲘ. (საკ. დესის კორ.). ვიტებსკის ოლქში დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გაერთიანებათა შექმნა. გაერთიანებებში შავიდა ყველა კოლმეურნეობა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოსა და პირუტყვის დაზღვევა-გასუქების ტრესტის საბჭოთა მეურნეობები.

95 გაერთიანებიდან თვითეულში შეიკრა ხუთიდან რვა მეურნეობა, რომლებიც ტერიტორიულად ერთმანეთთან ახლოა. გათვალისწინებული იყო საგზაო ქსელი, საერთო ვეტერინარულ-სანიტარიული საწარმოების, სამედიცინო დაწესებულებების არსებობა.

სომხური ენაზე

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. 28 მარტი. (საკ. დესი). გამომცემლობა „ჰაიასტანში" სომხურ ენაზე ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა „პარტიისა და ხალხის დიადი გმირობა", რომელიც წარმოთქვა 1974 წლის 15 მარტს უამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ალმა-ათაში.

ᲒᲐᲫᲚᲐᲯᲐᲠᲑᲐ ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲡ

ᲕᲝᲚᲝᲭᲘᲚᲘ სინთეზური კაუჩუკის ქარხანაში დამთავრდა მთელი რიგი ქიმიური აპარატებისა და დანადგარების რეკონსტრუქცია, რის შედეგად იზოპრენის კაუჩუკის საწარმოს საწყისი საპროექტო სიმძლავრე თითქმის 70 პროცენტით გაიზარდა.

რეკონსტრუქციის შედეგად არა მარტო მკვეთრად გადააჭარბეს ქარხნის საპროექტო სიმძლავრეს, არამედ ამ ბოლო ეტაპს წელიწადში ერთიორად შეამცირეს კაუჩუკის თვითღირებულება.

ვოლგოგრადელებმა მიზნად დაისახეს მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის ერთი ორად გაზარდონ ამ თავიანთი საწარმოს საპროექტო სიმძლავრე. ეს გათვალისწინებულია მცირე კაპიტალური დანახარჯებით. ამავე საწარმოო თართობებზე და. უმთავრეს. შინაგანი რეზერვების გამოყენების შედეგად. (საკ. დესი).

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲡ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲗ — ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. (საკ. დესის კორ.). დღეს ნავის ნავსადგურში შეადა თბომავალი „ᲒᲘᲨᲞᲝᲠᲢ ᲩᲘᲜᲐᲞᲘᲜᲘ". ეს არის პირველი ამერიკული სატვირთო გემი, რომელიც რეგულარული რეისები დაიწყო ბალტიმორის, ნორფოლკის, ფილადელფიის, ნიუ-იორკის, ახალი ორლეანისა და ლენინგრადის ნავსადგურებს შორის. ამერიკელმა მეზღვაურებმა ჩვენს ქვეყანაში ჩამოიტანეს ტრაქტორები, ქიმიკატები, სხვადასხვა მოწყობილობა.

ტრასას ემსახურებიან საბჭოთა და ამერიკული გემები, პარიტეტულ საწყისებზე

სოციალიზმისა და მუშათა კლასის გაერთიანებული ბრძოლისა

სკკპ XXIV ყრილობის მესამე წლისთავისათვის

კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი შემოქმედებითი ენერგიითა და თანმიმდევრობით ახორციელებენ 1971 წლის 30 მარტს — 9 აპრილს გამართულ სკკპ XXIV ყრილობაზე დასახულ დიად აღშენებლობითს პროგრამას. ჩვენი საშობლო გულდაჯერებით მიდის სოციალურ-ეკონომიური პროგრესის გზით, რომელიც ყრილობამ დაგვისახა. და ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი სულ უფრო ცხადყოფს მის ისტორიულ-გადაწყვეტილებათა დამრეხმელ და მაორგანიზებელ ძალას.

დიდი და უდაოა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის წარმატებანი. ისინი დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ სწორია სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებული და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებში, სხვა პარტიულ დოკუმენტებში განვითარებული კურსი. ლენინური პარტია მტკიცედ და განუხრელად იცავს ეროვნული სოციალისტური ეკონომიკის ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, კომუნიზმის შენებლობის ხელშემწყობი საგარეო-პოლიტიკური პირობების უზრუნველყოფისათვის, მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების, მშვიდობის, დემოკრატიისა და მთელი მსოფლიოს სოციალური პროგრესის საქმის განმტკიცებისათვის.

■

სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განვლილ სამ წელიწადში არსებითად გაიხარდა ჩვენი სოციალისტური საშობლოს ეროვნული დოვლათი და ძლიერება. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა. სულ კაეშირის ხალხთა ინტერნაციონალური ძმობა, რომელს სიმბოლოდ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების და ფედერაციული ოკრუგების დროშებზე აკიაფდა ხალხთა მეგობრობის ორდენი. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, ყველა სოციალისტური ერის მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

უარღესად მაღალი და ურყევი ავტორიტეტი აქვს ჩვენს პარტიას როგორც მრავალეროვანი ბანაკის ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს. ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც ეს აღნიშნა სკკპ ეროვნული კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, თქვა „ასეთი ავტორიტეტი პარტიამ მოიპოვა თავისი დაუცხრომელი ბრძოლით ხალხის ინტერესებისათვის. ამით, რომ შიძლო შეიმუშაოთ ასწორი კურსი კომუნისტური მშენებლობის თანმიდევრული ეტაპებისათვის, რომელიც მუშათა კლასმა, გლეხობამ და ინტელიგენციამ აღიქვეს როგორც თავიანთი ოიოძლი საქმე, მოიპოვა თვალსაჩინო წარმატებანი მშვიდობის განმტკიცებაში. პარტიის მაღალი ავტორიტეტი ჩვენ უძალისაესენი კუთვნილებაა, ამხანაგნო. ეს არის არა შარტო სამართლიანი აღიარება იმ თავდადებისა, რომლითაც პარტია იმსახურებოდა და კელავაც იმსახურება ხალხს. პარტიის ავტორიტეტი ამასთან ერთად ჩვენი მძლავრი, მართლაც რომ ოელისმძღვ ეარიოა. რომელიც გვეხმარება შეიაანალიზოთ ფაქტობრივი მასალები და დადგიზმოთ ისინი ქვეყნის წინაშე დასახულ ამოცანათა გადასაწყვეტად, გვიხდოთ ისინი საერთო სახელმწიფო ინტერესებისათვის შეგნებულ მებრძოლებად“.

ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა სკკპ XXIV ყრილობის დასკვნა, რომ კომუნისტური მშენებლობა მის შაბაგის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის ინტენსიფიკაციის ბაზის ფორმირებისა და ფორიერული ეკონომიკის ბაზის ფორმირებისა, ეროვნულ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. წარმოების ინტენსიფიკაციის კურსი, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა, საკრძნობ შედეგებს იძლევა. ეროვნული შემოსავლის მატებამ შეადგინა 45 მილიარდი მანეთი. ეს ოოემატება ქვეყნის ომამდელი 1940 წლის მთელ ეროვნულ შემოსავალს. მთლიანად სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი, რომელსაც ეიყენებენ მოხმარებისა და დაგროვებისათვის, ახლა შეადგენს 333,8 მილიარდ მანეთს. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 23.1 პროცენტით გაიზარდა.

შესრულდა საწარმოო, საბინაო-კომუნალური და კულტურული მშენებლობის გრიელი პროგრამა. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სახალხო მეურნეობაში 280 მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენს. ხუთწლედის სამ წელიწადში ძირითადი საწარმოო ფონდები გაიზარდა 30 პროცენტით და მიაღწია 680 მილიარდ მანეთზე მეტს 1972 წლის ფასებში. მრეწველობაში ამოქმედდა დიდი სიმძლავრის აგრეგატებით აღჭურვილი ასობით ახალი საწარმო, სამგზრო და ობიექტი, რომლებსაც აქვთ ტექნიკის მაღალი დონე და მოწინავე ტექნოლოგია.

ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ამ დარგის განვითარებას სამ წელიწადში მოხმარდა დაახლოებით 72 მილიარდი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი — თითქმის 2.5 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე ამ პერიოდმი გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმით. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მიიღეს 963 ათასი ტრაქტორი, 581 ათასი სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 162 მილიონ ტონაზე მეტი მინერალური სასუქები.

ნამდვილი დაჩქარებული ტემპის ზრდა ეწოდა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი. 1973 წლის გეგმის ძირითადი მაჩვენებლები მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა. ეს არის ფართოდ გაშლილი სრულად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების, წარმოების რეზერვების უფრო სრულად გამოყენების შედეგი. 1972 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მატებამ შეადგინა 7.4 პროცენტი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 5.8 პროცენტი. გადაჭარბებით შესრულდა რეალიზაციის მოცულობანი და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ეეგმა. გეგმის გადამეტებით დამზადებული და რეალიზებული 7,3 მილიარდი მანეთის პროდუქცია. მოეწეფა მარცვლეულის რეკორდული მოსავალი — 222,5 მილიონი ტონა. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ. შესანიშნავი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს ქვეყნის მებამბეებმა, რომლებმაც მოკრიფეს 7,66 მილიონი ტონა ბამბა. ზამთრის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად მეცხოველეებმა 1973 წელს უზრუნველყვეს პირტყვიას და ფრინველის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდა. მთელი ქვეყანა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას. დღეს ახლად ათვისებული მიწები გვაძლევენ მთელ ქვეყანაში დამზადებული მარცვლეულის 27 პროცენტს.

1973 სამეურნეო წლის შედეგებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი აქვს ჩვენს საშობლოს, რა უდიდესი ამოცანების გადაწყვეტა შეგვიძლია ახლა. საჭიროა დროულად და ეფექტიანად ეეყენებდეთ ყველა არსებულ რეზერვებსა და რესურსებს ახალი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად. სწორედ ამის ორიენტაციას აძლევს პარტია ხალხს ფართო მასებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმმა ობიექტურად და ღრმად გააანალიზა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენ კანონიერი სიამაყით ვაკვირდებთ ყოველი მუშაობის შედეგებს და ჯერჯერობით ვიფასებთ ხალხის დიდ საქმეებსა და მიღწევებს. ამასთან მან აღნიშნა, რომ კიდევ უფრო უნდა გავაუმჯობესოთ მეურნეობის ხელმძღვანელობა მეცნიერულ საფუძველზე, ღონიძიებოთ მშენებლობასა და საპროექტო საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, წამოაყენა პრინციპული დებულებანი სახალხო მეურნეობის, კეთილდღეობის ზრდის, ეროვნული ეკონომიკის გზებისა და მეთოდების ეოსავლენის, ეკონომიური და მორალური სტიმულების გაძლიერებაა. რომლებიც ადეკვატურად სურდეს სამეწარმეოსა და საწარმოებს იკისრონ ფაქტიური ეეგმები, ეამოანახონ რეზერვები, ამუშაონ მთელი დატვირთვით.

ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაუმჯობესდა დარგობრივი მართვა. მიმდინარეობს ნოვაციები კონცენტრაცია, სპეციალიზაცია და კოოპერირება, გადასვლა დარგის მართვის უფრო სრულყოფილ ორ-სამრგოლიან სისტემაზე. შემდგომშიც უნდა განვაგრძოთ ეს მუშაობა, გავაძლიერით ფინანსური კონტროლი სახელმწიფო სახსრების გამოყენებისა და საგეგმო და ფინანსური დისციპლინის შესრულებისადმი სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ყველა რგოლში.

დიდ ამოცანებს წყვეტს პარტია ბეჯრარული პოლიტიკის დარგში, რომელიც ყოველთვის მისი ყურადღების ცენტრშია და კიდევ უფრო განვითარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმი, პარტიის XXIII და XXIV ყრილობების დოკუმენტებში. ეს პოლიტიკა გახდა მილიონობით საბჭოთა ადამიანის საქმიანობის საფუძველი. საფუძვლიანად დაახასიათა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბეჯრარული პოლიტიკის მთავარი მიმართულებანი. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა ალმა-ათაში ყაზარის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, აღნიშნა, რომ საქმე ეხება სწორედ ერთიან მრავალეროვანი პოლიტიკის, ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებებსა და ღონისძიებებს, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას ვიაროთ წინ ისე, რომ არ გვქონდეს გარკვეებები. და ჩამორჩენა. მხოლოდ ამ გზით შეეძლებთ ბოლომდე დაეძლიოთ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა საზოგადოების სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებებისაგან.

ეკონომიკის ზრდის საფუძველზე თანმიმდევრულად ხორციელდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, რომლებიც ხუთწლედის მთავარ ამოცანად არის დასახული. 1971-1973 წლებში 31 მილიონ კაცს — ყოველ მესამე მუშასა და მოსამსახურეს მოემატა ხელფასი. გადიდდა პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები და სხვა მისაცემლები, რის შედეგად გაიზარდა 23 მილიონი კაცის შემოსავალი. განუხრელად იზრდება მოხმარების ფონდი, რომელიც ეროვნული შემოსავლის დაახლოებით სამ მეოთხედს შეადგენს. დიდდება ასიგნობანი სახალხო განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისათვის. საბჭოთა ადამიანების ცხოვრება წლითიწლობით უფრო უზრუნველყოფილი, შინაარსიანი, საინტერესო ხდება, ფართოდება მათი სულიერი მოთხოვნილებანი.

პარტია დიდ მუშაობას ეწევა საბჭოთა ადამიანების აღსაზრდელად კომუნისტური მსოფლმხედველობისა და მორალის, ბურჟუაზიული იდეოლოგიასთან შეურიგებლობის სულისკვეთებით. ეს ამოცანები ხორციელდება აქტუალური სახალხო-სამეურნეო პრობლემების დაგეგმვიდან ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებით. ცდილობს რა მიაღწიოს ეკონომიკის შემდგომ ღონვერსასა და სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფას, პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საქმეში ყველა მშრომელთა კიდევ უფრო ფართოდ ჩაბმას.

მასების, შრომითი და პოლიტიკური აქტივობის განვითარებისათვის პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის საქმიანობის სრულყოფა. სოციალისტური დემოკრატიის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ეხოვრებაში გატარება კანონისა სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ. საბჭოთა სახელმწიფოს განუხრელ განმტკიცებასა და სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომ განვითარებას სამსახურს გაუწევს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რაც 16 ივნისს გაიმართება.

